

კავკასია

თხემის შეუპოვარის პონტოის ზვირთთ მიმყრდობი
და ტერფითა სალითა კასპიისა განმპობი,
კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,
შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა.
მას შინა ჰსჩანს ბუნება საშინელად და მშვენად:
გვერდნი მისნი ძლიერნი, ოფლვილნი შეუსვენად,
ქუხვით გარდმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა,
ჰრწყვენ და განაპოხებენ შორიელთა ველებთა.

იგი, ზურგით მზიდველი მთებზედ შემდგართ მთებისა, -
ათას წლოვანთ თოვლთაგან ზვაავად შენაკრებისა,
ოდესმე რომელსამე მათ სპეტაკ ტვირთაგანსა,
გარდმოაგდებს ზვავებად, სცემენ ყურსა და თვალსა:
სრიალნი განმაშტერნი, სახენი განმაკროთობნი,
ყინულ-ლოდთა ბორცვები ერთმანერთის მასწრობნი,
თოვლის მტვრისა ზრქელისა აღმყვანელი ცათამდე,
ჰგორვენ ხლტომით და რახით, ღრმათ ღელეთ უფსკრულადმდე;

ვიდრემდის ბუქს ჰაერი, მბერველ ქარიშხალებით,
დღისა მცვალები ღამედ, მომცველ ნისლით შავებით.
დედა-მიწასა პირი წარღვნას ახალს განმცდელობს,
აქ იგლიჯება გორა, მუნ ველი აღარ ველობს:
ტყენი ძველთა ნაძვთანა გარდაქმნილან რიყებად,
წყალნი დ ადგილად მშრალად, გზა-ვაკენი დ კლდეებად,
და კავკას, მათ მთათ შორის მხოლო უცვალებელი,
ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს ვით ღმერთი მბრძანებელი

აქვე დღე მხიარული ოდეს კეთილ დართა
დაახედს თოვლთა ზედა მზე შარავანდ წყნართა,
ყინულნი ათას თრაშნი, წყალნი ფანტულ წინწკლებად,
სხვა და სხვად ფერად ბრწყინვენ ოქროდ-ბრილიანტებად.
ყველა კაშკაშ ნათლოის! ამ დიდ შვენირებას
იოტნიცა ბზინვითა უმატვენ მკობილებას.
ყვავილნი, სამოვარნი მომფენნი გვერდობ გრილთა,
სუნით, გემოთ იშვითნი მიიზიდვენ ნადირთა:

მუნ ირემი აღვალს რა წიაღით ბნელის ტყისა,
განიშვებს უშიშარად მომკვლელთ ხელთ შეხვედრისა:
შტოვანთ რქათა დამდრეკი, მყუდროდ დამზერს ღრუბელთა,
თვისთ ფერხთა ქვე მქუხარედ და მეხისა მშობელთა:
ირმისგან უმკვირცხლესი ჯიხვი უმაღლესს კლდესა,

რომლის რქანიც მწეობენ ჩლიქისა სიმტკიცესა,
თავ-ახმული შესცქერის მყინვარეს აუვალსა
და ვერ შემძლე მიწთომად. ღმუილით ემდურს ძალსა.

ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა,
ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა, დ
მთა რეცა განგებ ზღუდეთ აღმენებული სალაად,

დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალაად:
გარნა რომელს ბოლოსდა, როსთ მხედარად აღზრდილი.
მიებრჯნა რა უდრეკლად მამაცი ციციშვილი,
შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი
და ტინმან შარა გზათა ფართოთ განულო კარი:

შეეჭრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა:
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა
ჰსცემდენ, ჰგლეჯდენ, ქუხოდენ, დ და კავკასი მკვნესარედ
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!
განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.